

ესპინდელ

ტრეპედიონები



მედიკალიზაციის გეგმის დამუშავების

შედეგების განხილვის

შედეგების განხილვის

მომავალი პირნი:

დანაოსის ქალიშვილები (ქორო),
დანაოსი,
არგოსის მეფე,
მაცნე.

ჰე, ზევსო¹, ლტოლვილთ მესანაგევ, ეგულმოწყალე
კრებულსა ჩვენსა,
ზღვით გამოღწეულს
ქეიშოვანი
ნილოსის მხრიდან. დაგვიგდია ღვთიური ვანი
სირიის საზღვრად და გარეგნობივართ.
არ მოუსჯია ქალაქიდან ჩვენი მოკვეთა
სისხლის სამსჯავროს,
არამედ გვდევენის სისხლით ნათესავ
ეგვიპტელ ვაჟთა და ჩვენთა შორის უპატიურ ქორწინებაზე
ჩვენი უარი².
მამამან ჩვენმან დანაოსმა, დარბაისელმა,
მეწინამძღვრემ და წესთაგამრიგემ,
ურჩეულესი გზა გვირჩია ჭირთაგან ხსნისა:
ტალღებით რწეულ ზღვით გვეცურა დაუხანებლად,
მოკვიდებოდით არგოსის მიწას,
სადაც ოდესმე დასაბამი დაედო ჩვენს გვარს,
მოდგმა ჩვენი წარმოსდგა, ოდეს
ძროხას, კრაზანის შეურევებულსა
შთაგონებით შეესო ზევსი.
კეთილ იმედის სხვა ნაპირი
სადღა გვეძია
ბაფთებით შეკრულ
სავედრებელ რტოებით ხელში?
ო, ქალაქო, ო, მიწაო, კამკამა წყლებო,
თქვენ, ღვთაებანო ზესთაზესნო, თქვენ მოსაშიშნო,
აჩრდილთა ვანის მეუფენო, — ქვედა სკნელისა,
ბოლოს შენ, ზევსო, მაცხოვარო, ღვთისიერ კაცთა
ფუძის მფარველო,
შეიჭერქვეშე მავედრებელ ასულთა გუნდი

და მიწა შენი გაუნაწილე გულმოწყალებით.
ხოლო ურიცხვთა მამრთ რიცხოვნება —
ნაშეიერნი ეგვიპტოსისა,
თუ ჩქარხოფიან ხომალდით კვალში ჩაგვიდგებიან,
ვიდრე შლამიან ნაპირებზე ფეხს ჩამოდგამდნენ,
მყის ზღვის უკუნვე უქცეო პირი.
დე, იქ დაატყდეთ ქარბორბალა, ელვა-ქუხილი,
წვიმის ღვარცოფი ეკალ-ქარებით,
ზღვამ აყალყულმა დასაღუპად დაუყოთ პირი,
ვიდრე სარეცელს განიყოფენ ადათით დაცულს
და ბიძაშვილ ქალთ
უნამუსოდ გადაქელავენ.

ქორო

სტაროზი პირველი

აწ ვეაჯიბი
ზევისი ხარ-ვაჟს,
ზღვისგაღმელ მფარველს, ძეს წინაპრეულს,
რომელიც იშვა ყვავილთმძოველ ღვთიურ ძროხისგან
ზევისი ხელდასხმით და შთაგონებით და ეს სახელიც —
„ხელდასხმული“ — დაეხედა
სიტყვაგზიანად: დაიბადა მართლაც „ეპაფოს“.

ანტისტაროზი პირველი

ჭეშმარიტია თქმული ჩემი,
ამ ჭალაკებში
ჭგიეს ადგილი, სად მოდგმის დედა
იტანჯა ოდით. ეს გავიხსენე და წინაპრისა
ნიშნაც სარწმუნოს გაგიცხადებთ, ბინადართათვის
დია საკვირველს
და სიტყვა ჩემი, ვრცლად ნათქვამი, განისაჯება.

სტაროზი მეორე

ვინმე ახლორე რომ მდგარიყო, ჩიტით მისანი,
მკვიდრთაგანი და ვალალება ესმინა ჩემი,

აგრე იტყოდა: ხმა თუ მესმისო
მოზარ-ზარე ტერევისი⁴ ცოლის,
ძერძერუკისგან დაკლანჭული იადონისა.

ანტისტაროზი მეორე

მისცემიაო
სევდას ობოლ-უსამშობლოო,
ან ბაღლ-ბედშავს თუ დაიგლოვსო, მშობლისგან
მკვდარსო,
გააფთრებული ავ-დედის ხელით
სიკვდილმიგვრილსა.

სტაროზი მესამე

მეც ვმოზარეობ იონიურ⁵ მოწესეობით,
ვიკაწრავ ლოყას, გახურვებულს ნილოსის მზითა,
გულში ცრემლთა ტბა უნაპირობს...
მწუხარებისა ვკრეფ ყვავილებს —
ვშიშობ, ვაითუ საწყალობელ დებს,
გადმოხვეწილებს ნისლიანი ნილოსის მხრიდან,
არ გვიმფარველოს აქ არცა-ვინა.

ანტისტაროზი მესამე

გვარის მფარველო ღმერთნო, ქმენით თქვენ სამართალი.
არ აღასრულოთ საქმე ბოროტი.
აკი იზიზღებთ წრეგასულობას,
წესთ განარიგებთ ქორწინებისა.
იმათთვისაც კი, ომს ვინც გაექცა,
ჭგიეს ბომონი,
თავშესაფარი, ღვთაებათა ნაწილი წმიდა.

სტაროზი მეოთხე

ყოვლად კეთილად აღესრულოს ზრახვა ზევისისა!
ვინ მიწვდება
განზრახულს მისას!
ზოგჯერ ნათელით

იგი შავ-ზრქელ ბნელეთს გაარღვევს
და მოკვდავთ თვალებს გაეჩვენება.

ანთისტროფი მიოთსა

უშლელ-უხრწნელ არს და წარუვალ!

ზევსის შუბლზე იტვიფრება

საქმე ყოველი.

აზრთა ბილიკებს

ლიის და ლელის მწვანეთი ფარავს,

მიმოკლავს და უჩინოს ქმნის თვალთა ჩვენთათვის.

სტროფი მესამე

იგი მოკვდავთა იმედების ქედმაღლურ კოშკებს

ქვეანარცხებს და ნაცრად განაბნევს.

ძალი მისი არას აქნევს იარაღ-აბჯარს.

უჯაფველია ყოველი, რაც ღვთაებრივია.

აღსრულებად არს,

რაიც ზემადლა,

წმიდათაწმიდა საბრძანისზე განიჩინება.

ანთისტროფი მესამე

გარდამოხედე ურცხვ თავხედობას მოკვდავისა!

ვით ჰყვავის გვარი შეცოდებისთვის,

ვით განჭაბუკდა იგი, ჩემი ქორწინებისთვის

გონგანუსჯელად;

გულში ჩაიდეს ქვენა ზრახვანი

და ავ გულისთქმას არ განეკრძალნენ.

მოდგება ჟამი, განსჯის ატე⁶ მათ ვერავ ზრახვათ.

სტროფი მესამე

ესევეთარი მოზარეობით, ზრუნით, ვაებით წარვთქვამ
მწუხრის ზარს ცრემლდათხეული,

ვაი და —

ზარსა ჯერეთ არსმენილს.

ჩემსავ ცოცხალ თავსა დავიგლოვ.

ვლოცავ აპიის⁷

ქედ-მთებს — ყურად იღოს უცხო ქალის
ხმა მვედრებელი, ტანიდან რომ ნახევებად
დაბლა დაჰფოთლის
სიდონური⁸ სელის სამოსელს.

ანთისტროფი მესამე

ურჩეულეს წინდსა და ურვადს დავდებ
ღმერთთათვის,

ოღონდ დამხსნან სიკვდილის ბრჭყალსა.

ვაი, ვაი,

ბედის ქარნი საით-რას ჰქრიან,

ვაი, საითკე მიმზიდავს ტალღა!

ვლოცავ აპიის

ქედ-მთებს — ყურად იღოს უცხო ქალის

ხმა მვედრებელი, ტანიდან რომ ნახევებად

დაბლა დაჰფოთლის

სიდონური სელის სამოსელს.

სტროფი მესამე

ზღვაზე ცურვილმა ნიჩბიანმა

სასლმა მიფარა აფრიაშლილმა

და ზღვის ქარკეთილს დანდობილმა აქ მომიყვანა,

ბედს არა ვყვედრი.

კეთილ-დროულად აღასრულოს

ყოვლის მეცანმა

მართლგანჩინება!

დე, განმარიდოს დედისეული წმიდა მოდგმის

მამრთა სარეცელს,

თესლთა ამმღვრევი ამაშოროს მე ქორწინება!

ანთისტროფი მესამე

ზევსის ასულო⁹,

ესათნოვე შენს მსათნოველთა,

დაურღვეველი აღნაგი ხარ, ქალწუმიდესო.

ყოვლის ღონით,

მე დევნილს, რბეულს,

წმიდა ქალწულს წმიდა ქალწული

მექმნეს მფარველად
და განმარდოს დედისეულ წმიდა მოდგმის
მამრთა სარეცელს,
თესლთა ამმღვრევი ამაშოროს მე ქორწინება!

სტაროზი მერვე |

არა და მაშინ, ჩვენ,
მზის და მიწის
შავყვავილა ქალიშვილები
გზას დავადგებით მიწისაკენ,
სად სტუმარმრავალ ზევსის ვანი მასპინძლობს ტანჯულთ.
ყულუბებზე მკვდარნი დავეკიდებით
სავედრებელ რტოებით სელში,
წყალობას თუ არ მოიღებენ ოლიმპოს ღმერთნი.
ო, ზევსო, ეს ხომ იოს ტანჯვაა,
რისხვა მღევარი — ღმერთთამიერი
ცათა უფალის
ღვთიურ ცოლისა; მისი ბრაზ-სუნთქვა
ტყდება გრიგალად.

ანტიისტროფი მერვე

და მაშინ ზევსი
უსამართლოდ გააბნევს სიტყვას,
თავისივე წიქარას
ასულს თუ არ ჰყოფს პატივს
და მისვე შვილქმნილს,
შვედრებულს,
შეაქცევს ზურგსა.
მი-და-მოაპყრე მაღლით ყური ქვემყვირალს შენსა!
ო, ზევსო, ეს ხომ იოს ტანჯვაა,
რისხვა მღევარი — ღმერთთამიერი
ცათა უფალის
ღვთიურ ცოლისა; მისი ბრაზ-სუნთქვა
ტყდება გრიგალად.

პირველი პაიზოდი

სცენაზე გამოჩნდება დანაოსი

დანაოსი

გამხნევდით, ჩემო ასულებო, თქვენ აქ მარტონი
როდი მოსულხართ, გახლავთ მამა, სანდო მესაჭე.
ხმელეთისაკენ გულის გუმანს მე ვიჭერ ახლა,
თქვენ კი გავალებთ, სიტყვა ჩემი გულს დაიბეჭდოთ.
შორით მტვერს ვამჩნევ, ლაშქრის უხმო მაცნეა იგი,
თვლების ღერძებზე რაკუნობენ ზანზალაკებიც.
აგე, ლაშქარიც, უკვე ვხედავ ფარ-შუბიანებს,
მრუდე ეტლებში ცხენშებმულნი ეშურებიან,
ერისმთავარნი თუ არიან ამა ქვეყნისა
და ჩვენ გვზვერავენ, აქა დგომა ეუწყათ ჩვენი.
სალოდნელია — წყნარნი იყვნენ, ანდა ძალუხემ
რაზმად მარებნი, და ვაგლახად გვიტიონ კიდეც.
რაც უნდა იყოს, გოგონებო, უმჯობესია

მიეახლოთ და მიმოუსხდეთ ამბიონს ღმერთთა,
ბომონი¹⁰ ფარზე, ციხე-ქავეზე უმტიცეს თქმულა.
ოლონდ იჩქარეთ და რტოები ზეთისხილისა
თეთრი ბაფთებით გვირგვინქმნილნი, ზევსის სამხვეწრო,
სადლეობისოდ დაიპყართ მარცხენა სელთა.
მოშიშეობით, რუდუნებით, შესათხოვარით,
მოსტუმრიადე უცხო ქვეყნელთ ვით შეგფეროდეთ,
მოუთხრეთ, თუ ვით სისხლმართალ ხართ და ვით
დეენილხართ.

ოლონდაც საზღვარს ნუ გადახვალთ კეთილზომიერს,
პირმოუბარი ნუ დაურღვევთ თვალებს სიმშვიდეს,
ნურცა წაიგდებთ ენას გრძელად, ნურც წაიმჩატებთ,
ცუდმადობაა წესი ეგე — ზიზღის მომგვრელი.
ნურცა დათმობას დაივიწყებთ, თუცა მიგჭირდეთ,
სიტყვადილობა არა ჰფერობს ძალ-დამცრობილსა.

გუნდის თავქალი

ო, მამავ, სათნომოუბარო — სათნო ასულთა,
დაბეჯითებით დავიხსომებ, გულს დავიმარხავ
შენს ბრძნულ-ბრძანებულს, და ზევსისამც გვწყალობდეს
თვალი!

დანაოსი

ოლონდაც ზევსის მოწყალების თვალი გვფარვიდეს!

ქოროს თავქალი

(მიმართავს ზევსის ქანდაკს)

ო, ვისურვებდი ტახტის შენის ახლორე ვიდგე.

დანაოსი

ნულა ბრკოლდები, მოქმედების ჟამია უკვე.

გუნდის თავქალი

ო, ნუ გამწირავ, ზევსო, მეყავ თანამღმობელად!

დანაოსი

ყოვლიმც სიკეთე მისი ნებით აღესრულების.

გუნდის თავქალი

.

დანაოსი

გამოუხმობდეთ, უზახოდეთ ფრინველს ზევსისა!

გუნდის თავქალი

სხივთ ვევედრები, გადამრჩენელს, ცხოველი მზისა.

დანაოსი

უსმობდეთ წმიდა აპოლონსა¹¹, ცით მორბედ ღმერთსა!

გუნდის თავქალი

ოკვდავთა ხვედრის ღმერთ-მეცანი გვფარვიდეს იგიც!

დანაოსი

გუარვიდეთ იგიც, თანაგედგეთ მწედ და ნუგეშად!

გუნდის თავქალი

რომელ ღმერთთაგანს კვლავ ლოცვითა ვემუდაროდე?

დანაოსი

აგე, დავლანდე ნიში რამე, ღმერთის სამკაპი.

გუნდის თავქალი

კეთილგზიანი ზღვა თუ მოგვცა, ხმელეთიც მოგვცეს!

დანაოსი

აჰა, ჰერმესიც¹² ელინური მოწესეობით.

გუნდის თავქალი

გადარჩენილებს ბედ-კეთილი გვიმასარობლოს!

დანაოსი

ეთაყვანენით ყოველ უფლის ამ ზიარ ბომონს,
და მიუყუყდით საღვთო საფარს ველურ მტრედების
დამფრთხალ გუნდებად, თქვენებრ ფრთოსან ძერების
შიშით,

თავისიანთა გვარ-ჯიშზე რომ მესისხლეობენ.
წმიდა ფრინველად ითქმის განა ჩიტთა მძიმგნელი?
ვინაც უწესო შეუღლებას მოიძალადებს,
წმიდაა იგი? — ნუმც იცოცხლოს ღირწების მქნელმა,
გიჟად რბიოდეს და ჰადესის წიად დაინთქას.
ქვენა ზრახვისთვის იქ განსჯიან, როგორც ამბობენ,
სადაც სხვა ზევსი საბოლოოს აჩენს განაჩენს.
ყოველი ესე გამოჩხრიკეთ და, ვით წესია,
მათ ეახელით, რათა საქმე გაიწადმართოთ.

(ქალიშვილები ხალვთი ბომონის კიბეებზე მიმოსხდებიან.
შემოდის ხელმწიფე მხლებელთა თანხლებით)

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ეს რომელ ქვეყნის ამაღაა, არაელინურ
მდიდრულ, ბრწყინვალე, ბარბაროსულ სამოსით მოსილთ
რომ ვესალმებით? ეს არ გახლავთ არც არგოლიდის
და არცა გინა ელადისა ქალთ ჩაცმულობა.
გამკვირვებია, ამ მიწაზე ფეხის შემოდგმა
ვით ხელიწიფეთ, თან რომ მაცნე არა იახლეთ,
ან პროქსენოსი¹³ ან სხვა ვინმე თანამეგზური
და უშიშარად ამა ადგილს გარემოდექით.
აგერ გიწყვიათ სამშვიდობო რტოები, ვსედავ,
სტუმრის მფარველი ღმერთებისთვის შესახვეწელი.
მიღებულია ელინეთში ასეთი წესი.
სხვა ნიშნებითაც მივხვდებოდი, ალბათ, რაიმეს,
მაგრამ უფრო ჯობს, ყოველივე თავად მაუწყოთ.

ქოროს გამძღოლი ქალი

სამოსელისა ჩვენისათვის ჭეშმარიტს იტყვი,
ოღონდ ვინა ხარ, მინდა გკითხო, მოქალაქე თუ
მცველი ტაძრისა კვერთხოსანი? ქალაქისთავი?

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ნება გეძლევათ, გაბედულად გამესაუბროთ.
მიწის ნაგრამის, პალესთონის ნაშიერი ვარ
მე, პელაზგოსი, ამა ქვეყნის ხელისუფალი.
ჩემის, ვითარცა მეფის სახელს, ატარებს ესე
პელაზგთა ტომი, მოსაზრდოვე ამ ველ-მინდვრებზე.
იმ მაღლობიდან, სად სტრიმონი¹⁴ იღებს სათავეს,
ფულობ მიწა-წყალსა სრულად, ვიდრე დასვლამდე მზისა.
ვბატონ-ვპატრონობ პერებიის¹⁵ მიდამო-მხარეს,
პინდოსის¹⁶ მიღმეთს, პეონიის¹⁷ ახლო-მახლოებს,
დოდონას¹⁸ ზეგნებს და სად მთები მიჰყუდებიან
მფოფინარე ზღვას — სრულად ჩემი სამფლობელოა.

ხოლო აი, ამ აქეთური აპიის მიწას
სახელი ჰქვია თავისივე მსხნელი წინაპრის —
აკი აპიის ნავპაკტიის მხრიდან მოსულა,
ექიმ-ქურუმი, ნაშიერი აპოლონისა;
განწმინდა მიწა მან კაცთმჭამელ იმ ურჩხულთაგან —
ხრწნილი სისხლისგან შებილწულთა და თვიურ ტანჯვით
შეურევებული მიწისაგან რომ წარმოიშენენ,
როს მიდამონი საზიზღარჰყო დრაკონთ სიმრავლემ;
მაშინ იმათგან თავდახსნის გზა წარმატებულად
სწორედ აპისმა გაუსრულა არგოსის მიწას,
სადაც მიხ-სახელს ახსენებენ ლოცვა-კურთხევით,
რაკი შეიტყვე აქაური გარემოება,
ახლა ჯერია გვარტომობა მაუწყო შენიც.
ეს კია, ჩვენში არ სჩვევიათ გრძელსიტყვაობა.

ქოროს გამძღოლი ქალი

სიტყვა მოკლე და ნათელია: არგოსის განთქმულ
ტომისანი ვართ, შეილბედნიერ ძროხის მოდგმისა.
ძალმიძს დასტურეყო თქმულის ჩემის ჭეშმარიტება.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

სტუმარო, მითხრობ არ-სარწმუნოს, დაუჯერებელს,
რომ თითქოს ძველი არგეული ტომისა იყოთ,
აქაურთა კი არა გცხნიათ თქვენ არაფერი,
ვგონებ, ლიბიის ტომის ქალებს უფრორე ჰგვანობთ,
ნილოსის მხარეს თუ იხარებს ეგეთი ჯიში.
კიპროსული რამ ადევს ნიშიც თქვენს ქალურ სახეთ,
იერი რამე გვართმთავარი პირველ-მამრისა.
ან მომაგონებთ მომთაბარე ქალებს პინდოთა,
რომელნიც ვლენან აქლემებზე ამხედრებულნი
ეთიობიის სამანებთან, როგორც მსმენია.
და ამავე დროს სოროცით ნაკვებ ამაზონების¹⁹
მშვილდოსან ქალთაც არანაკლებ მიმსგავსებიხართ.
მინდა შევიტყო უფრო მეტი დაბეჯითებით,
თუ გვარსა შენსა არგოსელად რაისად იტყვი.

ქოროს გამძლოლი ქალი
ამბობენ, მცველად-მეკლიტურედ ჰერას²⁰ ტაძრისა
იო იყოო აქოდესმე, არგოსის ცის ქვეშ.

ხელმწიფე

იყო სწორედაც, გადმოცემა დასტურჰყოფს ამას.

ქოროს გამძლოლი ქალი
გვამცნობენ ზევსის მოკვდავ ქალთან შეუღლებასაც.

ხელმწიფე

.

ქოროს გამძლოლი ქალი
ეს მიჯნურობა ჰერას როდი გამოპარვია.

ხელმწიფე

მერმელა ვითარ იყო ქიშბი მათ ორთა ღმერთთა?

ქოროს გამძლოლი ქალი
ძროხად აქცია არგოსელი ასული ღმერთმა.

ხელმწიფე

ზევსმა იწაწლა რქამშვენიერ ქალ-წიქარასთან?

ქოროს გამძლოლი ქალი
ამბობენ, თავად ხარ-ძლიერად გადაიქცაო.

ხელმწიფე

საპირისპიროდ რა იღონა ზევსის მეუღლემ?

ქოროს გამძლოლი ქალი
მყის მიუჩინა თვალფხიზელი დარაჯი ძროხას.

ხელმწიფე

მითხარ, ხბო-ერთის თვალფხიზელი ვინ იყო მწყემსი?

ქოროს გამძლოლი ქალი
მიწის ძე იყო, ჰერმესმა რომ მოჰკლა — არგოსი²¹.

ხელმწიფე

უბედურ ძროხას რა წაჰკიდა კიდევ ქალღმერთმა?

ქოროს გამძლოლი ქალი
მაგიჟებელად მიუჩინა მას მაწუხელა.

ხელმწიფე

აქ, ინაქოსზეც²², მაგ კრაზანას ასახელებენ.

ქოროს გამძლოლი ქალი
შორს გადახვეწა მან ამ მხრიდან ის ხანგრძლივ რბენით.

ხელმწიფე

რაიც შენ უწყი, ყოველივე ემთხვევა ჩემსას.

ქოროს გამძლოლი ქალი
კანობოსამდე²³ ირბინა მან და მემფისამდე²⁴.

ხელმწიფე

.

ქოროს გამძლოლი ქალი
ხელის შეხებით ჩაუსახა ნაყოფი ზევსმა.

ხელმწიფე

ზევსის და ძროხის ის ქებული ვინ არის შვილი?

ქოროს გამძლოლი ქალი
ის, ხელდასხმული, ეპაფოსად სახელრქმულია.

ხელმწიფე

* * * * *

ქოროს გამძლოლი ქალი
მოიხსენება აწ ლიბიე სახელდიდობით.

ხელმწიფე

მომდევნო ყლორტად გვარის ხეზე რომელს ახსენებ?

ქოროს გამძლოლი ქალი

ვახსენებ ბელეს ორშვილოსანს, ჩემს მამის მამას.

ხელმწიფე

ახლა კი, ყოვლად ბრძენი მამის მითხარ სახელი.

ქოროს გამძლოლი ქალი

დანაოს. მის ძმას უვის ვაჟი ორმოცდაათი.

ხელმწიფე

დაუზარებლად მომახსენე მისი სახელიც.

ქოროს გამძლოლი ქალი

ეგვიპტოს, ხედავ, რა ძველი გვაქვს ჩამომავლობა.
მოგვეპყარ, როგორც შენს წინარე მდგარ არგოსელებს.

ხელმწიფე

ჭეშმარიტად, რომ ყოფილხართ თქვენ ნათესავები
ამ ძველ მიწისა. გარნა სახლი მამისეული
ვით დაუტევეთ, რა ავბედმა გაგაბედვინათ?

ქოროს გამძლოლი ქალი

დიდო პელაზგე, ჭრელფერია ცხოვრება კაცთა.
ერთი ბუმბულით არ იმოსვის ნაირი ჭირი.
ვინ იფიქრებდა უცაბედი ამ ლტოლვილობით
მოვადგებოდით ძველ-მშობლიურ ალაგს პირვანდელს.
ბილწ სარეცლებზე შეუღლების შიშით ლტოლვილნი?

ხელმწიფე

შენ რაღას იტყვი, რად მოადექ ამბიონს ღმერთთა,
თეთრი ბაფთებით შეკრული რომ გიპყრია რტონი?

ქოროს გამძლოლი ქალი

იმად, რომ მხევლად ეგვიპტოსის მოდგმას არ ვექცე.

ხელმწიფე

მტერობას რასმე ან წესრიგის დარღვევას ჩივი?

ქოროს გამძლოლი ქალი

განა ხალისით ვინ წააგებს მოგებულს თვისას?

ხელმწიფე

კავშირი კაცთა, აგრემც, დიდი ძალის-ძალაა.

ქოროს გამძლოლი ქალი

ვით დევნილთ რბევა ყველასათვის არის ადვილი.

ხელმწიფე

რა სათნოება შემიძლია გავიღო თქვენთვის?

ქოროს გამძლოლი ქალი

არა გადაგვცე ეგვიპტოსის ვაჟიშვილებსა.

ხელმწიფე

სამძიმოს რასმე, ახალ ომის საბაბს მთავაზობ.

ქოროს გამძლოლი ქალი

გარნა ჩვენ მხარეს თანაიბრძვის მართლ-მსაჯი დიკე²⁵.

ხელმწიფე

მაგრამ ამ საქმის მონაწილე ის თავად იყო.

ქოროს გამძლოლი ქალი

დე, გაშინებდეს ბურჯი ეგე ქალაქის ღმერთთა.

ხელმწიფე

ვკრთები, რომ ვუცქერ იმათ ტახტს და გვირგვინის
ჩრდილსა.

ქოროს გამძლოლი ქალი

შიშიშა რისხვაც მვედრებელთა მფარველ ზეესისა.

კომოსი

ქორო

სტროფი პირველი

პოლესთონის ძეგ, განმიკითხე
მეწყალე გულით, პელაზგთ მეფეო!
შემიბრალოდე, ვით ხბო უმწეო,
მგლისგან დევნილი უფსკრულთა პირას,
დაფეთებული
შველად რომ
უხმოზს ზმუილით მწყემსსა.

ხელმწიფე

ვხედავ, ხელებში მოქანავე ნორჩი რტოები
ჩრდილებს აფენენ საპატიო ამბიონს ღმერთთა.
ნეტავ, კეთილად აღესრულოს უცხოეთიდან
შინ სტუმრებულთა ესე საქმე, ქალაქი მტრობამ
არ გვიზიანოს, არ დაატყდეს ომი ქვეყანას.

ქორო

ანტისტროფი პირველი

ნუ შეაურევებს ჩვენი აქ მოსვლა ქვეყანას ამას,
ო, თემიდა²⁶, მთხოვართ მოწყალე, არსთა გამრიგის —
ზეესის ასულა.
შენც, ბრძენ-მეფეო, ათხოვე ყური მთხოვართა შენთა.
რასაც გასცემ მთხოველისთვის, იგივე შენია.

სხვისთვის საღვთო მადლს
რომ აღვასრულებთ, —
ჩვენ ვსაჩუქრდებით.

ხელმწიფე

თქვენ არ უზიხართ ჩემი კერძო სასახლის კერას,
ამით მთელ ქალაქს ემუქრება სასისხლო საქმე
და ხამს, რომ ხალხმა თვით ეძიოს აწ გზები ხსნისა,
ამად არ ძალმიძს, რომ ახლავე შეგპირდეთ რასმე,
ვიდრე ამ ამბავს არ ვაუწყებ მოქალაქეთა.

ქორო

სტროფი მეორე

განა ქალაქიც შენ არა ხარ და თავად ხალხიც?
ვინ გაგიკითხავს, როცა თავად განმიკითხველი ხარ.
შენ ფლობ ბომონს და ოჯახს ქვეყნისას.
ერთმსაჯული ხარ.
ერთკვერთოსანი ბრძანდები ტახტზე
აღმასრულებლად. ერიდე წყევლას!

ხელმწიფე

წყევლა და კრულვა ჩემსამც მტერთაც ნუ მოჰკლებოდეს.
ოღონდ ვერა ვწყევტ, უზიანოდ ვით დაგესმართ.
უგნურებაა, არ მიაგო მლოცველს სალოცვო,
შიშით მევსება აგრე სული და აღარ ვიცი,
თვით აღვასრულო ეს საქმე, თუ ბედსა მივანდო.

ქორო

ანტისტროფი მეორე

იხილე იგი — ყოვლის მხილველი,
მფარველი იგი ბედკრულ მოკვდავთა,
რომელნიც მოყვასთ ევედრებიან,
მაგრამ სამართალს ვერა ჰპოებენ...
მფარველი ზეესის რისხვა გასკდება
იმის თავზე, ვინც დაჩაგრულის ჩივილის ყრუა.

ხელმწიფე

თუკი ნებას რთავს თქვენი ქვეყნის კანონი ვაჟებს
ეგვიპტოსისა, ისარეცლონ ნათესავეებთან,
მაშინ, აბა, ვინ აღუდგება მათს ნებას წინა?
ჯერ დამიმოწმეთ, რომ თქვენებურ კანონთა ძალით
ესევეითარი ქორწინება არ მოგდგამთ წესად.

ქორო

სტროფი მესამე

არ ვნახო ის დღე,
როცა დავენებდე მამრის ტლანქ ძალას.
გზას მოვიკვლევდით ვარსკვლავებით, ბილწ ქორწინებას
გამოქცეულნი. სამართლისა იყავ ერთგული.
სცან მადლი ღმერთთა!

ხელმწიფე

ძნელია ესე განაჩენი. ნუ მამსაჯულებ.
ხომ მოგახსენეთ, ვერ გადავწყვეტ ხალხის გარეშე
ამ საქმეს-მეთქი. მეძნელება, საქმე რომ წარხდეს,
რა ვთქვა, პასუხად რა ვუთხრა ხალხს, როცა მეტყვიან:
„მოსულნი იხსენ და ქალაქი დაღუპე შენი“.

ქორო

ანტისტროფი მესამე

ვართ ნათესავნი და გვიყურებს მადლიდან ზევსი,
სამართლის მქნელი, ის მართლ-სწორად გაუნაწილებს
სასჯელს ბოროტსა, და კეთილსა მიაგებს კეთილს.
ოდეს სასწორი გასწორებულა,
შენ რად ყოყმანობ მართლალსრულებას?

ხელმწიფე

უნდა ვეძიო თავდასნის გზა ფიქრთა სიღრმეში,
მევიტავის დარად, ვიქონიო ფხიზელი თვალი,
რომ ამ მორევში არ დამესხას რეტი სავსებით
და თან როგორმე უნებელვყო ქალაქი ჩემი.

საქმეც ყოველი ჩვენეული ახდეს კეთილად,
ომით სადაოდ რომ არ გვექცეს ჩვენივე კუთვნილი;
არც თქვენ გაგწიროთ, გარსმომდგარნი ღმერთთა

ბომონთან

და ამით შინ არ შევისახლოთ დაუნდობელი
ღვთაება იგი — უმკაცრესი შურისმგებელი,
რომელიც მკვდარსაც არ ასვენებს, ჰადესში²⁷ ჩამხდარს.
განა არ უნდა ვიღონიოთ, მაშ, ღონე ხსნისა?

ქორო

სტროფი პირველი

იყავ მზრუნველი მართლმსაჯული,
ბრძენ-კეთილი სტუმართ მოწესე.
ნუ გაგვცემ ლტოლვილთ,
უღვთოდ დევნილთ,
განაპირებულთ.

ანტისტროფი პირველი

ნუ გამიმეტებ გასაძევებლად
ღმერთთა სახლიდან.
ყოვლად მორცმულო, ჰე, უფალო ქვეყანისაო.
განიკითხე მამრთ თავხედობა
და განეკრძაღე რისხვას ღვთაებრივს.

სტროფი მეორე

ნუ გამიმეტებ —
ღვთის ზატისგან ძალით წარმზიდო,
ზელი ჩამჭიდო მანდილზე ან კაბის კიდეზე
და ცხენივით თან წამიდევნო.

ანტისტროფი მეორე

თუ არ ინდომებ, ბინა მისცე შენს მთხოვარ ბაღლებს,
ხომ სულ ერთია — შუბი გადასწყვეტს
სასწორ-სამართალს.
უწყოდე ესე: მართლმსაჯულობს მარადის ზევსი.

ხელმწიფე

ეს უკვე ითქვა. გადავეშვიტ ისევ ტალღებში.
აწ ომი დიდი ჩვენგნით მათთან, ანდა პირიქით,
გარდუვალია. გაუწყვიათ აჰა, ხომალდი,
ახლად საზღვაო ხიმინჯებზე შეყენებული.
უმწუხარებოდ არა ჰგოეს გზანი ხსნისანი.
როცა მოგებულს ყოველივეს წააგებს ვინმე
და აღივსება მწუხარებით სახლი კაცისა,
ზევის წყალობით კვლავ დაყაბრავს სიმდიდრე ხომალდს.
რაჟამსაც ენას ისარივით წასცდება სიტყვა
არადროულად, უნდა დაცხრეს იგი სიტყვითვე,
ღელვის საზღვრებს რომ არ გადასცდეს მწუხარე სული.
ასევე მეცა, ნათესაურ სისხლთა აღრევა
რომ არა მოხდეს, მევალება უხვად შევწირო
ზვარაკეული, საღმობელი სამხვეწრო ღმერთებს,
რომ ეგებ ავცდე უსაშველო ამ სამტრო საქმეს.
მიჯობს, ავბედის ჩემისათვის არაა ვუწყოდე
და ბედნიერი არ ველოდე უბედურებას.

ქოროს გამძღოლი ქალი
ისმინე ჩემი, მოკრძალებით გეტყვი რასამე.

ხელმწიფე

გისმენ, იტყოდე, ყურს არაფერს გამოვაპარებ.

ქოროს გამძღოლი ქალი
თანა-სტანია ყოველ ჩვენგანს ქამარ-სარტყელი.

ხელმწიფე

ვიცი, ეგაა ქალთა კაბის სამშვენებელი.

ქოროს გამძღოლი ქალი
მაგრამ ეს ახლა სხვა სამსახურს გაგვიწევს ჩვენა.

ხელმწიფე

ვითომ მაგითი რა გინდა თქვა, გამაგებინე.

ქოროს გამძღოლი ქალი
თუკი რაიმეს საიმედოს არ შეგვპირდები...

ხელმწიფე

ქამარ-სარტყელი მაგ დროს რაღად გამოგადგება.

ქოროს გამძღოლი ქალი
კერპთა საზოგადოებას გავემშვენებთ კვლავ შესაწირით.

ხელმწიფე

ეგ ნართაული ვერ გავიგე, მარტივად მითხარ.

ქოროს გამძღოლი ქალი
თავს ჩამოვიხრჩობთ სამლოცველო ქანდაკებებზე.

ხელმწიფე

შენ მაგ სიტყვებით დაუნდობლად დამკარ მათრახი.

ქოროს გამძღოლი ქალი
რაც გაიგონე, სათვალცხადოდ მე გაგიცხადე.

ხელმწიფე

ყოველნაირად ესე საქმე საძნელო არის.
ჭირთა მდინარე ყოველივეს წაღვეკვას ღამობს.
უბედურების ძნელსაცურველ ზღვაში დავცურავ,
არ ჩანს იმედის რამ ნაპირი და ნავსადგური.
თუ, მაგალითად, თხოვნა თქვენი არ შევიწყნარე,
გამოუსყიდველ შეცოდებად მითვლი შენ ამას.
არადა, შენი ნათესავი ეგვიპტოსის ვაჟთ
კედლებთან მდგარი თუ სასისხლოდ შევერკინები —
ის არ იქნება შეცოდება აღუწონელი —
ვაჟაკებმა რომ ქალობისთვის გასისხლონ მიწა?

ამასთან, მზაფრავს გარდუვალი რისხვა ზევსისა —
მხვეწართ-მფარველის, არაა არის მის შიშზე დიდი.
(მიმართავს ღანაოსს)

შენ კი, მოხუცო, აქ მოჯარულ ასულთ მამაო,
ესლავ დაიწყე სალოცავი რტოები მკლავზე
და სხვა ბომონებს აქაური ღუთაებებისა
მიმოდაჰფინე, რომ ჩამოსვლა თქვენი ენიშნოს
მოქალაქეებს და მე რამე არ დამაყვედრონ.
ხალხს ხომ წესად აქვს საყვედური მმართველთა მიმართ.
მაგრამ მწუსარეს რომ გნახავენ, შესაძლო არის.
მტრულად განეწყონ იმ თავხედი ვაჟებისადმი,
თანაგელმონ და მოწყალება მოიღონ თქვენზე.
დაჩაგრულს ყველა თანაგრძნობით მოეკიდება.

ღ ა ნ ა ო ს ი

მადლის მიგება გვმართებს დიდი, რომ ვსტუმრებივართ
კეთილ მასპინძელს, გულმოწყალებს და მოხანაგებს.
ამასაც შეგთხოვ, გამაყოლო მეგზური ვინმე,
ამ ადგილთ მკვიდრი, რომ ვეძიოთ ქალაქის ღმერთთა
საზორავეები, ბომონები და, ამავე დროს,
ქალაქში შესულ სტუმრებულთა უსაფრთხოებაც,
რადგან ბუნებამ გვისხვაფერა ფერი კანისა
და ნილოსი ხომ ინაქოსის მსგავს ჯიშს არა ზრდის;
გაბედულებამ არ დაბადოს საშიშროება,
არ მოაკვდინოს უმეცრებით ვინმემ მოყვასი.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

(მიმართავს მხლებელთ)

გაჰყეთ, ვაჟკაცნო! რიგიანად განსჯის სტუმარი.
აახლეთ იგი ბომონებს და საბრძანისთ ღმერთთა.
ყოველ გზად შემხვედრს მიაგებეთ მოკლე პასუხი:
ღმერთთა საყუდარს უცხოელი მიგვყავს-თქო ვინმე.
(ღანაოსი მიდის გამცილებლებთან ერთად)

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ლ ო ლ ი ქ ა ლ ი

მას ნება დართე, გაძლოლოდნენ და წასულიყო,

მე კი რაღა ვქნა, რას გადაწყვეტ ჩემდა ნუგეშად?

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

რტო აქ დატოვე — გასაჭირის სანიშნობელი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ლ ო ლ ი ქ ა ლ ი
დავტოვებ აქა, შენი სიტყვის მონა-მორჩილი.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

აწ მიიქეცი ა-იმ საღვთო ჭალაკისაკენ.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ლ ო ლ ი ქ ა ლ ი
თავი როგორღა შევაფარო დაუცველ ჭალას?

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ნუ გეშინია, ქორ-ძერების კერძად არ გაგხდი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ლ ო ლ ი ქ ა ლ ი
რამეთუ, ალბათ, დრაკონთათვის გაგემეტები.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

სიტყვამადლიანს უმადურად ნუ ესიტყვები.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ლ ო ლ ი ქ ა ლ ი
რას გიკვირს, როცა შიშითა ვარ გონდაზაფრული.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

დიაცი მუდამ უმიზეზოდ შიშნეულია.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ლ ო ლ ი ქ ა ლ ი
კეთილ სიტყვით და კეთილ საქმით დამაშოშმინე.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ნუ შეშინდებით, მამა დიდხანს არ მიგატოვებთ.
მე კი მოვუხმობ ჩემი ქვეყნის ხალხს და დავჯარავ.

რომ დაავადგინო ვარგისი რამ დადგენილება
და მამათქვენსაც ვურჩიო, თუ რისი თქმა უჯობს.
აქედან ფეხი არსად გადგათ, ადგილის ღმერთებს
მხურვალე ლოცვით სურვილები ავედრეთ თქვენი.
მე კი წავალ, რომ აღვასრულო საქმე ყოველი
და აღმსრულებლად დე, თანამყვეს რწმენა და ბედი.
(ხელმწიფე და მხლებლები გადიან)

პირველი სტასიმი

ქორო

სტროფი პირველი

უფალო, უფალთაო, ნეტართა
უნეტარესო, აღმსრულებელთა
უზენაესო ძალაო, დიადო ზევეს,
ყური მოაპყარ გვარ-ტომს შენსას,
აღკვეთე მამრთა თავალება, იზიზღე ზიზღით
სამართლიანით,
საავბედო მეწამულ ტბაში
შავსკამიანი გემებით დაძირე ისინი.

ქორო

ანტისტროფი პირველი

მოგვაპყარ თვალი ჩვენ —
ქალთა ძველ ტომს,
საყვარელი ქალ-წინაპრისა
და კვლავ გვადიდე და გვაღორძინე.
დიდმესხიერი იყავ
იოს ხელის მხლებელი.
ჩვენ ვხარობთ ზევსის გვარტომობით
და ამ მიწის წარმომავლობით.

სტროფი მეორე

ძველ კვალს მოვადექ.
მოვისანახე საძოვრები დედისეული.

ჭრელი მინდვრები, სადაც იო, შეურეპული
მაწუხელასგან,
გიჟად რბიოდა.
მრავალ მხარეში მოხეტიალე,
ტალღამ გარიყა
ბედის განგებით, წყლით გაყოფილი
მიწა-ხმელის გაღმა ნაპირას.

ანტისტროფი მეორე

გადაირბინა მან აზია,
ცხვარ-თხეზიანი ფრიგიის მხარეს²⁸, ქალაქთ,
ლიდიის ზეგნებს მოირბევდა,
კილიკიის და პამფილიის
მთებში ვიდოდა,
შორს მოიტოვა მდინარენი,
მარად მდინარენი,
ნაყოფის ხვავით დაზნექილი მიწა
და პურმრავალი აფროდიტეს სამფლობელონი²⁹.

სტროფი მესამე

მერმე მიდევნა ის
მწყემსის სახრემ
დიონის³⁰ ყოველთ გამომკვებავ საღვთო ჭალამდე;
მიადგა იგი თოვლის წყლებით ნარწყავ ველ-მინდვრებს,
სად ტიფონისგან³¹ არ ხსენებულან ნილოსის წყალნი
და წმიდად დიან.
სჭირდა სიშლეგე, სამარცხვინოდ იტანჯებოდა,
პერას თიადა³² იყო იგი ნესტარსობილი.

ანტისტროფი მესამე

მკვიდრნი მოკვდავნი იმა ქვეყნისა
შიშით გაფითრდნენ,
ჰქონდათ სახე შეძრწუნებული,
ოდეს რქოსანი უბედური, ორსახოვანი
ქალ-ძროხა ნახეს.
და გაკვირდნენ ამ საკვირველით.

განა მაშინ ვინ თანაუგრძნობდა
ბუზანკალისგან გზებზე ნარბევ
უბედურ იოს?

სტაროზი მართხა

ბოლოს და ბოლოს მრთელჰყო იგი
ჟამთა გამრიგემ
ღვთიური სუნთქვით.
ცრემლებს გადმოჰყვა
მისი სირცხვილი და მწუხარება.
ზევსის სიტყვისგან მუცელქმნული შეიქნა ის და
შვა ძე უმანკო.

ანტისტაროზი მართხა

სვებედნიერი იყო ძე იგი.
აღმოხდა მაშინ ყვირილი მიწას:
„ზევსისმირი ყლორტი არისო
ძე ჭეშმარიტად“.
ვის შეეძლო, ჰერასაგან მოწეწნილი
წამებისთვის დაედო ზღვარი?
მხოლოდ ზევსს. ჩვენ კი ასე გამოგვდევს
მისი სიტყვისგან ჩასახული ეპაფეს ჯიში.

სტაროზი მახუთა

სხვას ვის ვევედრო სამართალი
ლოცვა-კურთხევით?
ოდენ იგია მამა-უფალი,
დიდი, ძველ-ბრძენი შემოქმედი ჩვენი გვარისა,
ყველას ნუგეში და სასო-ზევისი.

ანტისტაროზი მახუთა

იმას ტოლ-სწორად არავინ უვის,
ყოველ ძლიერზე, როგორც სუსტზე, ბატონობს იგი.
მცირეს და მდაბალს როდი აქებენ.
სიტყვა საქმეა
მის ბრძნულ სულში წარმოშობილი.

მეორე ეპიზოდი

(უკან ბრუნდება დანაოსი გამცილებელთა თანხლებით)

დანაოსი

გამხნევდით, ქალნო, კარგი პირი უჩანს ჩვენს საქმეს.
ხალხმა განსაჯა ყოველივე და გადაწყვიტა.

ქოროს გამძღოლი ქალი

შენ გაიხარე, მოხუცო, რომ კეთილ-მაცნეობ.
გვითხარი ჩვენცა ვით დადგინდა დადგენილება,
ხალხმა რა ძალით რა განსაჯა და გადაწყვიტა.

დანაოსი

მე აღმიტაცა არგოსელთა ერთსულოვნებამ,
თითქოს ბებერ სულს სიჭაბუკე კვლავ დაუბრუნდა.
ერთხმად შემართა ყველამ მაღლა მარცხენა ხელი,
ხმაურით შესძრეს არემარე და გადაწყვიტეს —
შემოგვისასლონ ამ მიწაზე თავისუფალნი,
არ თუ მიჰვალნი, არ-კაცთაგან ხელსაყოფელნი.
ვერც აქაური, ვერც მოსული ამიერიდან
ვერას გვაკადრებს, და თუ ვინმე ძალას დაგვატანს,
ვალდებულია აქაური მკვიდრი — დაგვიცვას,
არა და ხალხი პატივს აჰყრის მას და მოიკვეთს.
ყველამ ისმინა და ირწმუნა, რაც ჩვენზე წართქვა
პელაზგთა მეფემ: ზევსის რისხვას ვერ წაუვალთო —
მხვეწართ მოწყალის, თუ ამ სტუმართ არ ვისტუმრებთო,
მოქალაქენი არიანო ეგენი ჩვენი
და შემცოდველი ვერ იხარებს ქალაქი ესე.
შეიქნებოო ძნელბედობის ალაგად იგი.
ყოველი ესე რა ისმინეს არგოსელებმა,
დაადასტურეს უმაცნეოდ — აგრე იყოსო.
ენაწყლიანი ნაუბარი ისმინა დინჯად
პელაზგმა ხალხმა; ხოლო ბოლოს ზევსი განაჩენს.

ქოროს გამძღოლი ქალი

ეჰა! ვილოცოთ არგოსელთათვის,
ვილოცოთ მათი სიკეთისათვის!
მოგვხედე ზევსო, სტუმართმოწესე,
ჩვენ, სტუმარ-მლოცველთ, და გვემსაჯულე!

ქორო

სტროფი პირველი

აწ კი თქვენ, ღმერთნო,
ზევსის შვილებო, თქვენდა მლოცველს გვისმენდე ტომსა!
არ დაებუგოს პელაზგია აროდეს ცეცხლით
პირშავად მყივარ მშლეგობელ არესს³³, —
სხვაგან და სხვათა მისთიბდეს ყანებს.
აქ შეგვიფარეს,
სამართალი მართალი გვიყვეს —
პატივი დასდეს ზევსის მხვეწართ,
ჩვენს ბეჩავ კრებულს.

ანტისტროფი პირველი

მამრთათვის წილი
არა ჰყარეს, არ იმტრეს ქალნი.
ახსოვდათ ზევსი ყოვლის მხილველი,
დაუძლეველი,
ტახტზე მრისხანე მოსამართლედ დაბრძანებული.
პატივჰყვეს სისხლით ნათესავნი,
ზევსის მხვეწარნი.
დე, წმიდად ეგოს
სამსხვერპლო ღმერთთა!

სტროფი მეორე

დე, რტოთა ჩრდილში
ქალწულებრივ ბაგეებიდან აფრინდეს ლოცვა!
არგოსელ ვაჟკაცთ
ნუ გასთიბავს, დე, ჭირის ცელი
ნურც ცოფიანი შინაომებით

ნუ გაისისხლოს პირი მიწისა.
ნუ ჩამოცვივდეს სიყრმის ყვავილი,
ნურც აფროდიტეს შმაგი მეუღლე³⁴,
მოკვდავთ მმუსვრელი,
ნუ აცელავს კოკობ-ყვავილებს.

ანტისტროფი მეორე

დაე, ქალაქის უხუცესნი
შესაწირავით ბომონებთან იჯარებოდნენ.
სვებედნიერი იყოს ქალაქი,
ზევსს რომ ადიდებს
სტუმართმოწესეს,
ძველი კანონით მართლ-მომსაჯულეს.
აიესოს მიწა ნაყოფის სვავით!
ვილოცებ კვლავაც,
დე, არტემიდე³⁵
მფარველობდეს მშობიარე ქალთ!

სტროფი მესამე

არ მომდგარიყოს
მამრთ დამღუპველი მკვლელი ვინმე ქალაქსა ამას.
ცეკვა-თამაშის და კითარის მტერი არესი, ცრემლთა
დამდენი,
ძმებს სამტეროდ ნუ შინა-აშლის!
სნებათა, ჭირთა სკა შიშის მგვრელი
ქალაქიდან შორს გადაბუდდეს!
მოწყალებდეს ლიკეოსი³⁶
ასალთაობას!

ანტისტროფი მესამე

უხვ-ნაყოფობდეს
მიწა სრულსა წელიწდეულში,
მრავალშობადი იყოს ცხოვარი,
კურთხეულ იყოს ყოველივე განგებით ღვთისა!
კეთილხმოვანად
იგალობდნენ ბომონთან მდგარნი,

მღერდნენ ფორმინგზე,
პირმა წმიდა ატაროს სიტყვა!

სტროფი მეოთხე

დე, გაუფრთხილდეს პატიოსნებას
ხალხი, რამეთუ სახელმწიფოს იგი ამაგრებს.
შინ საზოგადო საქმეებზე ეზრუნოთ მმართველთ,
გარეთ — სტუმრებზე.
დავა სამართალს გადაეწყვიტოს
და არა არესს.

ანტისტროფი მეოთხე

მამა-პაპათა ადათისაებრ
სწირავენ დაუნას და აზავებებს
ამ ქვეყნის უფალთ.
მშობელთ პატივი
მესამე სჯულად
დაუწერია დიდებულ დიკეს.

დანაოსი

ასულნო, ბრძნული მლოცველობა მიქია თქვენი,
მაგრამ ანაზღად შიშნეულად ნუ შეოცდებით,
თუ მამისაგან მოულოდნელ ამბავს შეიტყობთ.
ჩვენი სახიზნო ამა ბორცვის გადასამზერზე
მდგარი, მე ვხედავ — თვალსაჩინოდ მოჩანს ხომალდი;
აფრებს, ძარის ფარს, გემის ჭვინტის მიმართულებას
ცხადად ეტყობა, რომ გემს გეზი აქეთ უჭირავს.
მესაჭე ისე ხელჯომარდად იმარჯვებს საჭეს,
ისე ჩქარობს, რომ სამეგობრო არ უჩანს პირი.
აგერ, იქავე ზღვაოსნებსაც თვალნათლივ ვხედავ,
შავი ტანები გამოუჩანთ თეთრ სამოსიდან,
სხვა სამარქაფო კატარღები და ხომალდები
გარკვევით ჩანან, მეწინავეს ნაპირისაკენ
ეწევა აფრა, ჩქაფუნობენ წყალზე ხოფები.
ახლა თქვენ გმართებთ მშვიდად იყოთ, მოუხმოთ კეთილ
გონიერებას, ღმერთნი ჰგიეს მფარველად თქვენდა!

მე წავალ, რათა მცველთა რაზმი გამოვიყოლო.
შესაძლო არის, მოგიგზავნონ მაცნე ან ელჩი,
რათა ყველანი ისევ უკან გამოგიტხოვონ,
მაგრამ უშიშრად დაუდექით — ვერ იქმენ ამას.
გარნა თუ ჩვენგით დახმარება შეგიგვიანდათ,
ამ საღვთო ჭალის უკეთესსა ვერ ჰპოვებთ საფარს.
არ წარიკვეთოთ სასო! მალე დღე იგი მოვა,
ოდეს ღვთისმგმობი მიემთხვევა საკადრის სასჯელს.

კოშოლი

ქოროს გამძლოლი ქალი

მეშინის, მამა, ხომალდები ფრთაუმაღლესად
მოჰქრებიან აქეთ. წამიდაა ჩვენს და მათ შორის.

ქორო

სტროფი პირველი

დიდი შიშის დამეცა ზაფრა.
ეგებ გაქცევა და ლტოლვა სჯობდა.
შიშით თავგზა მეზნევა, მამა.

დანაოსი

გოგონავ, ესე გადაწყვიტეს არგოსელებმა,
გამხნევდი, ვუწყი, იბრძოლებენ ისინი შენთვის.

ქოროს გამძლოლი ქალი

მოსდგამთ სიცოფე ნაშიერებს ეგვიპტოსისა,
სწყურიათ ბრძოლა, თავად უწყი ეს უჩემოდაც.

ქორო

ანტისტროფი პირველი

შავ ჭვინტიან ნავ-ხომალდებს
მოდენის რისხვა, შავია ხალხი,
მიზანიც — შავი.

დანაო ს ი

ნუ გეშინია, აქაც უხვად მოიძევება
მკერდგარუჯული ვაჟკაცები შუადღის მზითა.

ქოროს გამძღოლი ქალი

აქ მარტოდმარტო ნუ დამტოვებ, გვედრებ, მამაო,
არარანი ვართ მარტო-ქალნი არესის გარე.

სტროფი მეორე

მათ ვერაგთ, მზაკვართ
ბილწი აქვთ სული,
მძიძგნელ ყვავთ ჰგვანან, ღმერთთა ბომონს რას მიხედავენ.

დანაო ს ი

ამან უფრორე გაგვიმაგროს მხარი, ასულო,
რამეთუ ახლა თქვენთა მტერთა ღმერთნი მტერობენ.

ქოროს გამძღოლი ქალი

მათ ვერც სამკაპი, ვერც ღმერთთა შიში
ვერ დააბრკოლებს, ხელგეყოფენ მაინც.

ანთისტროფი მეორე

იყინჩებიან
და ცოფს ანთხევენ,
მაგ ძაღლთაპირებს ღმერთთა რიდი სულაც არა აქვთ.

დანაო ს ი

მაგრამ ძაღლებზე ღონივრებად მგლებსა იტყვიან.
პურის თავთუხებს ვერ აჯობებს ბიბლოსის ხილი.

ქოროს გამძღოლი ქალი

ვით გახელებულ ურჩხულების საშიშ ზვაობას —
უნდა ვერიდოთ განუკითხველ მათ უხეშ ძალას.

დანაო ს ი

ეგრე ძალიან ვერ იჩქარებს ზღვაოსანთ ჯარი,
ვერცა ნაპირზე შენავებას, ვერც ბაგირო დაბმას.

ვერც ხომალდების დაყენებას, ღუზის დაშვებას
მოახერხებენ წინამძღოლნი ეგრე სასწრაფოდ.
ეგეც არ იყოს, ნავსადგური არა აქვს ნაპირს
და გადმოსვლამდე მზეც ჩავა და ღამე მოუსწრებთ.
ღამე კი ბრძენთა მესაჭეთაც საწუხარს უჩენს.
ნაპირზე ჯარი ვერ გადმოვა — სასიფათოა.
სანამ ხომალდი საიმედოდ არ დგას ღუზაზე.
შენ კი გონს იყავ, შიშნაკრავმა არ ჰყვედრო ღმერთსა.
მე ვუხმობ მშველელთ, არ გამკილავს ალბათ ქალაქი
მე — ბებერს წლებით, მაგრამ ჭაბუკს აზრით და სიტყვით.
(დანაოს მიდის)

მეორე სტასიმი

ქორო

სტროფი პირველი

ო, მთა-ბორცვებო, მიწავ წმიდაო,
რა ვიღონიო? სად გავიქცეთ, საით ვეძიოთ
აპიის მხარეს საღამური თავშესაფარი?
ნეტავი შავი კვამლი ვიყო
და შევერთო ზევისს ღრუბელთა.
გავქროლდე უფრთოდ,
განვიბნე და ფერფლად ვვიდოდე.

ანთისტროფი პირველი

და მაშინ გულიც ამ ბაგაბუკს არ ამიტეხდა,
ამ შავ შიშში არ იტოკებდა.
ზაფრა მცა მამის ნათქვამ-ნახულმა:
ვისურვებ სიკვდილს,
სასრულობელას,
ვიდრე საზიზღო ტან-შებილწვას ღირწი მამრისგან.
უმალ ჰადესმა დამიყოს პირი!

სტროფი მეორე

ნეტავ ჰაერში დავიდო ვანი,

ნად წყალ-ნოტიო ღრუბელთაგან იშვება თოვლი,
ან სად თხებისთვის მიუვალ და თვალშეუდგამ
არწიეთ საფრენზე
ფრიალო კლდე კენტიდ ჰყუდია.
იქიდან უმაღ უფსკრულებში დავჟანდებოდი,
ძალმომრეობით შეუღლება
გულს რომ არ ეგრძნო.

ანტიტროფი მემრე

აქაურ ძაღლთა დავლად რომ ვიქცე
ან ფრინველთ კერძად — არ მეშინია.
სიკვდილი ხომ
ტანჯვისგან ხსნაა.
გვერგოს სიკვდილის სარეცელი —
ვიდრე ქორწილის.
სხვაგვარად რა გზით
განვეუღლოთ ამ შეუღლებას?

სტროფი მესამე

ეგალობე ცას,
ვევდრე ღმერთებს.
ხსნა ვით ეგების?
ხსნა უდრტვინველი მოიღე ჩემდა მაღლით, მამაო.
ძალმომრეობას
არ მოხედო წყალობის თვალთ,
ეწყალე საწყალ მვედრებელს შენსა,
ზევსო — უფალო ქვეყნისაო, ყოვლად ძლიერო!

ანტიტროფი მესამე

გვედვენ ვაჟები ეგვიპტოსისა,
დაუნდობელი მეგვარ-ტომენი,
გვარბევენ
რბეულთ ყივილ-ზახილით,
გვეტევენ ბიან სატაციოდ, საძალმომრეოდ.
გარნა უშენოდ
ვინ-რას იქამს მოკვდავთა შორის?

(ანაზღეული პაუზა, შიშნეული ფერისცვალება სახეთა.
უცებ არეულად იწყებენ ძახილს)

— ო-ო-ო! ა-ა-ა!
— ზღვის მტაცებელი, აგე, ნაპირზე!
— დამბლა დაეცეს მტაცებელს, ოჰ, ოჰ!
— აქეთ მოდიან ის უწმინდურნი.
— ეჰა, ვგოდებდე ზარით.
— ვხედავ, ვაიმე, საღმობათა ჟამია მძიმე.
— ეჰა, მძლავრობენ...
— გვიშველეთ!
— არც აქ, ხმელეთზე,
არც იქ — ზღვაზე არ დაგვინდობენ.
— გვისხენ, მეფეო!

მესამე პაიზოდი

(შემოდის მაცნე)

მ ა ც ნ ე

აბა, ფეს-ჩქარად, სომალდებზე მოუსვით ახლავ!
არადა
თავზე თმას დაგაგლეჯდ ღერა-ღერობით,
ღაგჭრით, დაგსისხლავთ,
თავებს წაგაძრობთ.
ჩქარა, წყეულნო, პირი ქენით სომალდებისკენ!

ქ ო რ ო

სტროფი პირველი

უხვად მდინარი
ზღვის ტალღებში ჩადუპულიყოთ
თქვენი სომალდით, თავხედობა თქვენიც
და თქვენაც!

მ ა ც ნ ე

სისხლს გადენ,
ისე წაგათრევ ნავზე.

ქორო

ნუ ძალიდიდებ,
სულს ნუ წარიწყმედ!

მაცნე

ოჰო, ოჰო!
თავი ანებე საკურთხეველს, ნავისკენ ჩქარა!
ქალაქის ღმერთთა მახვეწრობა არას გიშველის!

ქორო

ანტიხრონი აირველი

ნულარ მეხილოს
ველ-მინდორთა მასუქებელი ნილოსის წყალი,
სადაც სიცოცხლის მძლე ყვავილად
ფეთქს კაცში სისხლი.

მაცნე

ხომალდზე გასწი, ახლავე, ჩქარა,
გინდა თუ არა!

ქორო

მე აქაური გვარის ქალი ვარ.
აქ, ძველისძველი ჩემი სახლის კიბეს ვუზივარ.

მაცნე

ძალით მოგაფლევ მაგ კიბეებს
ცემით,
ტკივილით.

ქორო

სტროფი მხორო

ვაი. ვაიმე!
რად უბრძოლველად არ ჩაიდუბე
ზღვისა ტალღებში.

ნახეტიალი სარპედონის³⁷ სილიან კონცხთან,
მის ნისლ-ნიაგში!

მაცნე

იმტვრიე თავი, ივალაღე, უძახე ღმერთებს,
მაინც ვერასგზით ვერ ასცდები ეგვიპტურ ხომალდს.
იწივლ-იკივლე, რამდენიც გსურს, გაუთავებლად!

ქორო

ანტიხრონი მხორო

ვაი და ვაი! ვაი და ვაი!
არცხვენ ამ მიწას
ყბადაღებული, ყელის ფხრეწით რომ ჰყეფ და ჰყვირი.
მაგრამ გიყურებს ღვთაებრივი დიდი ნილოსი,
ურცხვობას შენსას წაღეკავს იგი!

მაცნე

ხომალდზე ჩქარა ადი-მეთქი! აგერ, ირწევა.
რაც შეიძლება ჩქარა, წამიც არ დააყოვნო,
თორემ თმით თრევა არც აგცდება, არც დაგმშვენდება.

ქორო

სტროფი მხორო

ვაი, მამაო,
ღვთის საყუდარს ვერ მივყუდვივართ.
მისგან გვეწევა
შხამიანი ობობას ქსელში
აჩრდილი შავი...
ვაგლას, ვაიმე!
ო, დედამიწავ, დედაშვილობას,
მაშორე ამ შიშს.
მოვედ შენ შველად, ზევებს —
ძეო დედამიწისა!

მ ა ც ნ ე

მე არა ვუფრთხი აქაურ ღმერთთა, —
მათი საზრდელთ არცა ვზრდილვარ, არც
მოვწიფულვარ.

ქ ო რ ო

ანტიხრონი მისამე

წრიალებს ჩემს წინ
ორფესა გველი,
ჩემკენ მოიწევს დასაკბენად
ავი ასპიტი.
ვაგლახ, ვაიმე!
ო, დედამიწავ, დედაშვილობას,
მაშორე ამ შიშს,
მოვედ შენ შველად, ზევს — ძეო
დედამიწისა!

მ ა ც ნ ე

კინც ჩემს ბრძანებას არ ისმენს და არ ავა გემზე,
ახლავე ტანზე შემოვახვე ქიტონის კაბას.

ქ ო რ ო

ვიღუპვით, სად ხართ თქვენ, სარდალნო ქალაქისანო!

მ ა ც ნ ე

როგორც ჩანს, თმებში უნდა გწვდეთ და წინ გაგირეკოთ,
რაკილა თქმულის გაგონება არ მოგწონთ ჩემი.

ქ ო რ ო

ოჰ, ვიღუპებით, არ ველოდით ამას, მეფეო.

მ ა ც ნ ე

არ მოგაკლებენ ეგვიპტოსის ვაჟნი მეფობას,
ნუ გეშინიათ, იმეფებენ თქვენზე ისინი.
(შემოდის ხელმწიფე)

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ჰეი, აქ ვინ-რას მოდავეობ, ან ვითარ ბედავ
გათავსელებას ამ მიწაზე პელაზგ ვაჟკაცთა.
ან ეგებ ფიქრობ, ეს ქვეყანა საქალეთია?
უცხოელი ხარ, აღარ გირჩევ ქადილს ელინთან!
დია ცუდ-მაშვრალს გონება ვერ მოგიკრებია.

მ ა ც ნ ე

რა კანონ-წესი დავარღვიე, რა დავაშავე?

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

დაგვიწყებია უმთავრესი — სტუმარი რომ ხარ.

მ ა ც ნ ე

არა, მე მხოლოდ იმას ვეძებ, რაც დამეკარგა.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

რომელ პროქსენოსს შეაფარებ თავს ამ მხარეში?

მ ა ც ნ ე

დიდ-მადიებელ პროქსენოსად ვიგულვებ ჰერმესს.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ღვთის მოიმედე, ნუთუ ღმერთებს პატივს არ აგებ?

მ ა ც ნ ე

მე პატივს ეაგებ ოდენ ღმერთებს ნილოსის მხრისას.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

და ჩვენი მხრისას, ალბათ არა, როგორც გავიგე.

მ ა ც ნ ე

ასულებს მაინც წავიყვან მე — ვერვინ წამართმევს.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ხელი ახლე და ნახავ — უმალ თუ არ იტირებ.

მ ა ც ნ ე

ვგ შენი სიტყვა როდი არის სტუმართმოყვარული.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ჩემი სტუმარი არ არის — ვინც ღვთისმგმობელია.

მ ა ც ნ ე

მე წავალ, ვამცნობ ვითარებას ჯგვიტოსის ვაჟთ.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

როგორც გენებოს, ჩემი საქმე სულაც არ არის.

მ ა ც ნ ე

მაგრამ ყოველი მათ სიმართლით რომ განუცხადო,
ვაუწყო ნათლად, როგორც მაცნეს შეუფერება,
მარტვი, რა ვუთხრა, სად დარჩნენ ბიძაშვილები,
ვინ შეიხიზნა ასულები და წაგვგვარაო?

არ საჭიროებს ამ საქმისთვის არესი მოწმეს,
გამოსასყიდი ვერცა ვერცხლი გადასწყვეტს დავას;
ვიდრე ეს საქმე გარიგდება, უმალ ბევრ ვაჟკაცს
თვის სიცოცხლეზე უარის თქმა მოუწევს, ალბათ.

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

გინდა სახელი გაგიცხადო? ამას შეიტყობთ
შენცა და შენი მხლებლებიცა, როს მოვა ქამი.
ეს გოგონები შეგიძლია, დაიყოლიო
ძალით კი არა, მხოლოდ რჩევით და მათივე ნებით.
აწ დაადგინეს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა, —
ძალმომრეობით არვინ ხელჰყოს ჩვენთან მოხიზნე
კრებული ქალთა. ეს კანონად დაბეჭდილია

და დაღურსმული, ვერაფერი მას ვერ დაარღვევს.
ის ქვის დაფაზე კი არ არის ამოკვეთილი,
ან კი არ ავსებს ფარატინა ქაღალდს, არამედ
თავისუფალი სიტყვით არის გამოჭედილი,
და ახლა გაქრი, არ გიხილოს ჩემმა თვალებმა!

მ ა ც ნ ე

უწყოდე ოდენ, რომ ეს ომის არჩევანია,
დაე, შესწევდეთ ვაჟკაცთ ძალი გამარჯვებისა!

ხ ე ლ მ წ ი ფ ე

ამ ქვეყანაშიც ნახავთ მამრებს, ვაჟკაცთა ნაცვლად
ქერის ნაყენის მესმურებს არ შეეყრებით.
(მაცნე გადის, მეფე მიმართავს ქალთა კრებულს)
თქვენ კი, ასულნო, მოიკრიბეთ გაბედულება
და მოახლეთა თანახლებით შედით ქალაქში,
ციხე-ქავით რომ საიმედოდ გამაგრებულა.
არა გვაკლია საზოგადო სახლ-ხანაგები,
ჩემი სასახლეც სიგრძე-განით არას ცოტაობს.
ნატიფად ნაგებს გამოგიჩრევთ სახლ-საბინადროს,
სადაც იცხოვრებთ სხვებთან ერთად, ხოლო თუ გიჯობთ
ცალკე სახლობდეთ — ცალკეული ინებეთ სახლი,
ამოარჩიეთ თქვენ თვითონვე რომელიც გსურდეთ
და გული გთხოვდეთ, დაგვიგულვეთ თქვენად მფარველად
მეც და ყოველი მოქალაქეც, რამეთუ ყველამ
ეს დავამტკიცეთ. რას ირწმუნებ ამის უმეტესს?

ქო რო ს გ ა მ ძ ლ ო ლ ი ქ ა ლ ი

შენამც სიკეთით ილორძინე ამ სიკეთისთვის,
პელაზგთა რტოო!
გამოგვიგზავნე, მოწყალეო, აწ მამა ჩვენი,
კეთილ-ძლიერი,
წინა-გამხედი დანაოსი, მრჩეველთ-პირველი.
დე მან გვირჩიოს, სად ვპოოთ ვანი,
რა კეთილ ალაგს.
ცხოვლს ყველა ეჭვით უცქერის

და თავიდან ჯობს, საქმე მოწყვეს სამჯობინაროდ.
(პელაზგე გაღის)

დე, კეთილნებით,
სათნოებით მიგვიღოს ხალხმა!
გარე-მოდექით, მონა-ქალებო,
მოგვეახლენით იმავე რიგად,
რა რიგადაც დანაოსმა
თქვენი თავი ჩვენ მოგვიმზითვა.

(შემოდის დანაოსი შემორბოვით ერთან)

დ ა ნ ა ო ს ი

ო, გოგონებო, განადიდეთ არგოსელები,
ლოცეთ ზედაშით, ოლიმპიელ ღმერთების დარად,
რამეთუ მხსნელად მოგვევლინათ სწორედ ისინი.
როცა მოვუთხრე იმათ, — თქვენმა ბიძაშვილებმა
თუ რა შავ-ბედი დაგაწიეს, — აღინთნენ რისხვით.
მე კი მცველებად მომიჩინეს ეს შუბოსნები,
პატივი დასდეს ჩემს ჭაღარას, რომ შემთხვევითი
ვისიმე შუბის უნებლიე მსხვერპლი არ გავხდე
და ეს ქვეყანას არ დააწვეს მძიმე სირცხვილად.
პატივი ესე შევიღირსოთ, არ დაივიწყოთ
თქვენი ქალური სათნოება, არ შემარცხვინოთ.
გულს დაიბეჭდეთ, რასაც გეტყვით, გულისხმა ჰყავით
და შეიგონეთ მამათქვენის შეგონებანი.

ყოველ კაცს უცნობს საცნაურად დრო გამოავლენს,
გახსოვდეთ, ყოველ უცხო ქვეყნელს უმეტესწილად
ენა-ჭორი და მითქმა-მოთქმა ულაზავს სახელს.
ჩემი თხოვნაა არ შელახოთ მამის ღირსება.
თქვენი სიტუტე და ასაკი იპყრობს კაცის თვალს.
ქორფა ნაყოფი რტოზე ძნელი შესანახია;
ნადირსაც იპყრობს ვნებათღელვა და კაცს — რად არა.
ცხოველის, ფრთოსნის, გინდ ქვემძრომის გემოის ხილვა!
კრძალავს კიპრიდა³⁸ ნაადრევად, ნაყოფი იგი
თუ სიყვარულის ხილის ხეზე ჯერაც არა მწიფს.
ყოველი მამრი, გზად გამვლელი ოდეს შეხვდება -

ქალ-ქმნილს, მშვენიერს სახილველად, გაუჩერდება,
მიმართავს მისკენ მნუსხველ თვალებს, ეშხით ძლეული.
მაგრამ სირცხვილიც, გასაჭირიც, დე, გაღმა დარჩეს,
მათგან ზღვის წიად მოსწრათენი გამოვნაპირდით.
ნუმც გავისარჯოთ წყენად ჩვენდა და მტერთა ღხენად.
ორი სახლი გვაქვს მიჩენილი თავშესაფარად:
ცალკე პელაზგე, ცალკე კიდევ — ქალაქი გვაძლევს
ვანს უსასყიდლოდ. სვე-კეთილსა დიდსა ვეწიეთ!
ოღონდ იცოდეთ, წესად იცანთ მცნება მამისა
და სათნოებას ესათნოვეთ სიცოცხლის უფრო.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ლ ო ლ ი ქ ა ლ ი

კვლავაც გვწყალობდნენ, დე, ღმერთები ოლიმპიისა,
ნულა გაღონებს მოსაწიფი ეგ ჩვენი ტანი.
ვინძლო თუ ღმერთნი ახალს რასმე არ გადაწყვეტენ,
ჩვენცა ადრინდელ სავალ გზიდან არ გადავუხვევთ.

ე ქ ს ო დ ო ს ი

ქ ო რ ო

სტროფი პირველი

მო, მოეახლეთ ქალაქის მფარველ
მნათობ ღვთაებებს,
ვანი რომ უღევთ
ჩქერალებთან ერასინისა³⁹.
მოგვეახლენით, მოახლენო,
სიმღერით, ქებით პელაზგთ ქალაქის!
აღარ ვაკურობებთ ამიერიდან
ნილოსის ჭალებს ჩვენი გალობით.

ანტისტროფი პირველი

ამ მხრის მდინარეთ,
წყალ-კეთილად,
წყალუხვად მდინართ, დიდნაყოფიერთ —
ვეგალობებით.

ო, არტემიდე, დედა-წმიდაო!

მოგვხედე მლოცველთ.

კითერეამ⁴⁰, დაე, გვაშოროს
იძულებითი შეუღლება
ძალმომრეობის სარეცელზე მძიმე ჭიდილით.

სტროფი მეორე

გარნა კიპრიდას როდი ივიწყებს

კეთილ-მადიდი ჩვენი კრებული.

ზევსთან ქალ-დიდობს ჰერას ბადალი.

პათივს აგებენ ჭკვა-მანვილ ქალღმერთს,

აღმასრულებელს დიდთა საქმეთა.

თანაახლავან საყვარელ დედას —

პოთოსი⁴¹ ვნებას გადაყოლილი,

ხოლო პეითო⁴² ვნების დამცხრობი.

ჰარმონიას⁴³ კი ჩასჩურჩულებს რასმე მოირა

აფროდიტეულ სიყვარულისას.

ანტისტროფი მეორე

ვშიშობ, საბაბად ჩვენი ლტოლვა არ გადაიქცეს

დიდმწუხარების, ომისა და მოსიხსლეობის.

მდევართა დევნა

წარმატებით რად აღესრულა?

მოხდეს, რაც არის მოსახდენი ბედისწერისა!

მიუწვდომელი არის ჩვენთვის

ზევსის განგება.

დაე, წილად გვხვდეს ქორწინება ჩვენაც ისევე,

როგორც სხვა ქალებს.

სტროფი მესამე

დე, დიდმა ზევსმა დამიხსნას მე

ეგვიპტოსის ნაშიერთან ქორწინებისგან.

სამები გუნდიდან:

— იყოსმცა ეგრე!

— განა მოღბება უღმობელი.

— მომავლისა არვინ-რა უწყის.

ანტისტროფი მესამე

როგორ განვჭვრიტო აზრი ზევსისა,

ვით ჩავხედო უძირო უფსკრულს?

სამები გუნდიდან:

— ილოცე ზომიერად.

— მარქვი, ზომას გადაველ განა?

— ნუ ჰყვედრი ღმერთსა!

სტროფი მეოთხე

ზევსო მაღალო,

ქმარ-საძულველს გვაშორე ქორწილს,

დია საშინელს, ვით ოდესმე აშორე იოს

სნება ტანჯვისა

მკურნალი ხელით,

კეთილ-მოწყალე ძალით მორჭმულო!

ანტისტროფი მეოთხე

მოგვეცი ღონე უღონო ქალებს!

სრული ტანჯვისა

ნახევარი მაინც გვაკმარე!

დე, მართალმა ქმნას სამართალი!

ლოცვას მხურვალეს უსმინოს ღმერთმა

და მოწყალება მოიღოს ჩვენდა!